ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №2

დაბა ქედა **25 ივნისი, 2021 წელი**

სხდომა დაიწყო 10:30 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 10:50 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა: რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
როსტომ შერვაშიძე - კომისიის წევრი
ამირან ცინცაძე - კომისიის წევრი;
კარლო თურმანიძე - კომისიის წევრი

სხდომას არ ესწრებოდა:
გენადი არძენაძე - კომისიის წევრი;
ბაქარ ბარამიძე - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდა:
საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - ზაზა დავითაძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

25.06.2021 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	რეზო თურმანიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	კარლო თურმანიძე	კომისიის წევრი	
3	ბაქარ ბარამიძე	კომისიის წევრი	
4	როსტომ შერვაშიძე	კომისიის წევრი	
5	გენადი არძენაძე	კომისიის წევრი	
6	ამირან ცინცაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის წესრიგი:

1. **„„ქედის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულისამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი.**

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილია ინიცირება ,,ქედის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი. ინიციატორის მიერ მოთხოვნილია საკითხის დაჩქარებული წესით დამტკიცება.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებების პროექტით ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი იზრდება 2 მილიონ ლარზე მეტით, რაც ქედის ისტორიაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

კომისიის წევრმა ამირან ცინცაძემ განმარტა, რომ რადგანაც აღნიშნულ ცვლილებების პროექტის მომზადების პროცესში, წინასწარ მრავალი კონსულტაცია ჩატრდა საკრებულოს წევრების ჩართულობით, მიზანშეწონილია საკითხი დაჩქარებული წესით იქნას განხილული საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის წევრებს საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 4

წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

მიზანშეწონილად ჩაითვალოს „„ქედის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კომისიის თავმჯდომარე: [illegible]ერეზო თურმანიძე